

გიორგი ერისთავი

შეშლილი

კომედია-პოემა

მოქმედი პირნი:

ანახანუმ

ტასო-ამისი ქალი

1. ნინო

2. ანასტასია

3. მელანია რძლები ანახანუმისა

4. სიდონია

5. კეკელა

ბეგლარ – საქმრო ტასოსი

მაკრინე-დედა ბეგლარისა

მარიამ

ქეთევან

კატატო

ვახტანგ – მეგობარი ბეგლარისა

დოქტორი

მარკიტა – გამდელი ტასოსი

თინათინ – გამდელი ბეგლარისა

1. ილია

2. ტატო

იორამ – მღვდელი

სვიმონა – ბიჭი

სტუმარი

ნაწილი I

სურათი პირველი

(ანახანუმ ტახტზე ზის დაფიქრებული, ამ დროს შემოდის ანასტასია, მერე ნინო)

ანასტასია - (უყურებს ანახანუმს დაჟინებული მზერით)

ნეტა რათა ხარ დაფიქრებული?

შენ როგორღაცა გიშფოთამს გული?

მითხარ, რას ფიქრობ?

ხომ კარგად იცი,

ამას არ უნდა კვნესა და ფიცი,

რომ რასაც მეტყვი,

არავის ვეტყვი!

ანახანუმ - (გაჯაგრებული)

ეგ რაღა იცი?.. რას ჩამაცვივდი?
 ისე უეცრად რასმე დაეფიქრდი;
 მარტოკა დაერჩი, სიძე წავიდა,
 დრო გადავიდა, არ ჩამოვიდა.(დაფიქრდება)
 რას არა ვფიქრობ?.. ლამის გავებიჯე!
 ვის ვკითხო რჩევა, ვისთან წავიდე?

ანასტასია

რა გაქვს სულელო, შენ სამწუხარო ?
 ერთი ქალი გყავს, - ხომ შერთე ქმარი,
 დიდი კაცის ძე, უცხო გულისა,
 მქონე კარგისა ყმა- მამულისა!

ნინო

ნეტა ქალებო, რას ლაპარაკობთ?
 მე თქვენს რჩევაში რატომ არ მისწრობთ?

ანასტასია

სიძეს უქებდი, კარგი შვილია,
 (ანიშნებს ღიმილით)
 ეს როგორღაცა მასზედ გრილია!

ანახანუმ

არა, თქვენმა მზემ, ძალიან მიყვარს;

მაგრამ, ქალებო, გეტყვით ერთ სიტყვას.

(ოხვრით)

ეს არის ჩემი უბედურება,

ოჯახის მოვლა არ ეყურება!..

ჩვენ მამულებზე არ აქვს ჯიგარი,

თითქო ფულებით არის მდიდარი.

ვალით სავსე ვარ; რით გადაიხდის,

თავის წილ ყმასა ის არ გაჰყიდის?

ეს არაფერი... არის ზარმაცი.

მე არ მინახამს იმ გვარი კაცი!..

ათასი საქმე მაქვს განხაბილი,

მამულებს მართმევს თამაზის შვილი;

სუდში, ქალებო, არ გამეგზავნა,

(გაკვირვებით)

კარგი შვილია, ამბობს ქვეყანა!..

არზა მივეცი მე დასაწერი,

თითქო არისო მოშურნე მტერი,

არზის ქაღალდზე რა დაეწერა?

ვიდასაც ქალზედ ეთქვა სიმღერა!..

(ქალები ერთმანეთს გადახედავენ და იცინიან)

ქერივსა და ოხერს ცეცხლი მედება,

დღე არ მაქვს ძილი და მოსვენება,

ემა და მამული სულ მეყიდება,

აბა, გენაცვათ, რა მეღუქსება!

ნინო

რატომ არ ეტყვი, რას ეფერები,

პურს არ გაჭმევ თქო შენი ლექსებით?

ანახანუმ

ნეტა რას ამბობთ?.. რამდენჯერ მითქვამს,

რომ არ იჯერებს ის ჩემსა სიტყვას;

რამდენიც უთხარ არზების წერა

თავი მოიკლა არ დამიჯერა.

(ჩუმად)

მმართვეს დაღალის თუმანი ათი,

ჩემგან უჭირავს მცირე ბარათი,

უუთხარ, პრისტავთან დასწერე არზი,

არა მმართვეს თქო, ჰქმენი ატკაზი!

ამ ჩემს ჭკვიანურ რჩევა სიტყვაზედ
უნდა გენახათ იმის სიბრაზე:
ფი!.. ფუ!.. ჰფე!.. რას არ ამბობდა,
პოდლობაათ, ილანძღებოდა.

ნინო

მაშ სულ დაგღუპავს,
ნეტა რასა ჰგავს!
რტყობა, თავში ჭკუას ვერა სცნობს
იმიტომ ჯავრობს და ვითომ ჩესტნობს.

ანასტასია

ვისი ბრალია, არავის ჰკითხავ,
საქმეს წაახდენ და თავს იხეთქავ.

ანახანუმ

ერთი შეხედეთ, შენ არ მიქებდი?
შენ არ იყავი ილაჯს მიწვევტი,
კარგი შვილია, მეუბნებოდი,
უცხო საქმროა, ყველგან ჰყვიროდი!
ანასტასია (ქოქოლას აყრის)

რაო?.. არ გესმით?.. შენ კი ჩგაქოლე!..

რა მომიგონა, შენ გენაცვალე?..

ამას არ ვფიცავ, დიდათ მიყვარდა,

თითქმის ჩემს თვალწინ აქ გაიზარდა!

ვის რა ვუთხარი, რა დავიყვირე,

მე რა ვიცოდი – იყო მესტვირე!

ჩემი დამალვით მიეცი ქალი,

ახლა კი სტირი, დაგიდგა თვალი!

ანახანუმ (ტირილით)

არ ვიცი რა ვქნა, გული მისქდება, საბრალო ტასო უბედურდება!

ნინო

შენ არაფრისა არა გაქვს თავი!..

გააშვებინე, თუ არის ავი!..

ანახანუმ (გაკვირვებით)

აგრე ადვილად გავაშვებინო?

რას მეუბნები გენაცვა, ნინო?

ილაპარაკებს ჩემზე ქვეყანა,

მაგ გვარი საქმე იქნება განა?

ნინო

ჯერ ხომ პირველად განჰკვირდებიან,
ერთ კვირას უკან გაჩუმდებიან.

ანახანუმ

მერე ვის მივცე, არავინ არი,
მე მინდა იყოს ცოტა მდიდარი.

ანასტასია

მაშ რუსს მიეცი, ჩვენს გლუხარიხსა,
იმ პოლკოვნიკსა თეოდორიხსა!

ანახანუმ

იიშ! რას ბრძანებ, ყელს იჭრის ქალი,
ან თავს დაიხრჩობს, ახლო აქვს წყალი.

ნინო

გამოგირჩიოთ სასიძო კარგი?
რაში არა სჯობს ბეგლარს ვახტანგი?

ანახანუმ (წამოხტება სიხარულით)

შენმა სიცოცხლემ უცხო იქნება,

არქიერმა თუ მოგვცა ჩვენ ნება!

ანასტასია

ჩვენში არ არის ნათესაობა,

სამი და ოთხი არის თაობა.

ნინო

მერამდენე ხარ, აბა დათვალე,

კრიაროსნითა კარგა ჩათვალე!

(ანგარიშობენ)

აგრე ყოფილა, საქმე მზად არი!

იორამ მღვდელი, ვგონებ, აქ არი!

ხვალვე გამართე მოციქულობა,

ჩვენში იქნება უცხო მძახლობა!

სურათი მეორე

ტასო, მარიამ, ქეთო, კატატო, სხედან ტახტზე და კითხულობენ ლექსებს

მარიამ - შენ გენაცვალე გადამიწერე!

ქეთევან – ეგ რა ხმა არის, აბა იმდერე!

ტასო – მაზურკა არის! თითონ მასწავლა,

შენ ხომ არ იცი ხმების დასწავლა!

აი ამის ხმა:(მდერის) ღა, ღა, ღა, ღა...

„აგერ ცაში მზე ბრქეინგალებს

და გაფანტა ღამე ბნელი;

შუქი მისი შენსა ფანჯრებს

ჰკოცნის ვითა საყვარელი!

აღსდებ, აღსდებ, კმარა ძილი,

კმარა ტკბილთ სიზმართ ზმანება;

ისმინე ფრინველთ ჯივილი

ისმინე დღისა შვენება!

აღსდებ, ატკბე შენი ყური:

ვარდს ტურფად დამდერს ბუღბული,

უცხოდ უშტვენს მოლადური,

შორს ტყით ისმის გუგული!

მზისა სხივსა ოქროს ფერად

დაუფერავს შენი არე,

მე მოვსულვარ შენად მზერად,

აღსდექ ხილვით გამახარე!

აღსდებ, მნახე, თავს დაგიკრავ.

მოგიძღვნი ვარდისა კონებს;

შენსა ხელსა გუღს მივიკრავ,

გარდგიკოცნი ლამაზ თვალებს”.

კატო – მაგ ხმაზედ კარგად იტანციება,

სხვა მაზურკებზე მომდის ციება!

(ამ დროს შემოდის ბიჭი, ტასოს მთარმევს წიგნს, გახსნის, ქაღები
მისცვივდებიან)

მარიამ – ტასოს ჭირიმე, ჩვენც წაგვიკითხე

უნების წიგნი გადაგვიკითხე (ჩასცქერიან სამივენი წიგნში)

ქეთევან – ჰოუ, დაიწყოს უცხო იქნება,

უთუოდ გიქო წიგნში მშვენება(იცინიან)

ტასო (კითხულობს)

„ჩემო ტასიავ,

სუნნელ კაიავ!

კოცნა მოგიძღვენ

ასჯერ ასია,

ნუ ხარ მჭმუნვარი,

შენთვის ვარ მკვდარი!

მაღე მოგივა შენი ბეგლარი!”

(ამ დროს შემოვა ანახანუმ და გაჯავრებული წაართმევს წიგნს)

ანახანუმ – ვისგან მოგსვლია? ეგ რა წიგნია?

შენ უჩემოთა რად გაგისხნია!

ტასო

თქვენი სიძისა, მწერს მე ბეგლარი,

აი დედილო, თქვენთანაც არი!

ანახანუმ

ერთი უნისი გამოიტირე,

გინდა შეერთო ესლა მესტვირე?

(ტასო დაიყვირებს და გულს შემოეყრება. შემოცვივდებიან ანასტასია და ნინო)

ანახანუმ (ნინოს)

ეს რა მიყავი, ხომ მომიკვდება!

ნინო

ყმაწვილი არის, დაავიწყდება!

სურათი მესამე

ვახტანგ ზის, ფორტეპიანოს უკრავს და მღერის, ამ დროს შემოვა სვიმონა ბიჭი და მთარბმევს წიგნს)

ვახტანგ

ბეგლარის წიგნი! როგორ ბრძანდება,

ამ ცოტა ხანში ჩამობრძანდება?

სვიმონა

არა მგონია აქ ჩამობრძანდეს (მწარე ღიმილით)

თქვენც შეიტყობდით, ხომ გამოგვაგდეს.

ვასტანგ (იცინის საშინლად, დადის ოთახში კისკისით)

რას ამბობ ბიჭო, ვინ გამოგაგდოთ,

უფრო დროებით, თუ სამუდამოდ?

სიღედრი ბევრჯერ წაეჩხუბება, ნუ ეშინიან, შეურიგდება.

სვიმონა

ის დალოცვილი რას ჩააცვიდა,

ნეტა იმათში რა გაუკვირდა?

(ამ დროს შემოვა იორამ მღვდელი. სვიმონა გავა)

ვასტანგ

მღვდელი მობრძანდი,

ჩემთან დაბრძანდი!

ახალს რას შეტყვი, არა იცი რა,

ამ სოფლიდგანა ვინ გაიწირა? იორამ მღვდელი

რა საქებია ესე სოფელი,

დაუდგრომელი, ძნელ სამყოფელი, მაგრამ რადგანაც არს ღვთის ქმნილება,

უნდა ვასრულოთ იმისი ნება,

თვით მან გვიბრძანა დაქორწინება, აღორძინება და გამრავლება!

ვახტანგ (სიცლით)

გატყობ გყავს ვინმე ჩემთვის საცოლვე,

ხვალვე ბეჭედი გამომიცვალე

იორამ მღვდელი

ეადგან სოფელი ყოვლთვის ასეა...

მოდი შეირთე ჩვენი ტასია!

თქვენ მამულებთან არის სამძღვარი

და შეიქნებით ყოვლით მდიდარი.

ვახტანგ (იცინის)

შეჩვენებულო! ეგ რა მითხარი?

გინდა მე მოვკლა ჩემი ბეგლარი?

ოთხი თვე მეტი არს დანიშნული,

მე ცოლის შერთვის არა მაქვს გული.(მღვდელი გავა)

ვახტანგ (ვახტანგ დადის, ხან იცინის, ხან მოიწყენს და ოცნებობს)

მო პოეტო! რა შეიმატო
მაგ მაღალ ნიჭით, ვის აგრძნობინებ,
შეატყობინებ,
ტკბილ ჩანგის უღერით
შენს ნიჭსა გულის?
მაღალის სულის
სად ჰპოვებ პასუხს?
რომ წავიკითხოთ,
გარდავიკითხოთ,
პოეტო ვარსკვლავი,
ბედნიერებით
და მყუდროებით
არვინ შობილა!
პოეტის ბედი,
სოფელს იმედი,
არ ბადებულა;
მათი ცხოვრება
კაცთ ეკვირვება,
რა განჰსჩხრეკსსრულად;
ხან სოფელს სტირის,
ხან მაღლა ყვირის,

არა არს კმაყოფით;

ხან, ვითა ჩვილი,

გულით უბრყვილი,

ხარობს სოფელსა!..

(ამ დროს შემოვლენ სტუმრები. ფარდა ჩამოეშვება).

სურათი მეოთხე

ანახანუმ, ნინო, ანასტასია დილით სხედან დივანზე

ნინო

აბა დღეს რა ჰქენ გვიამბე წვრილად.

ტასოს წერილსა მორჩი ადვილად?

ანახანუმ

ჩემი ურჩობა არ შეუძლიან,

მაგრამ იმ ლოტრანგს ივიწყებს გვიან.

ვნახოთ რა გვეტყვის დღეს ჩვენი მღვდელი...

უნდა გენახათ პიპა გამდელი,

რა საშინლათ ის იწყევლებოდა!

უარი რომ თქვას რა მეშველება?

ანასტასია

უარსვინ გეტყვის, ვინ დაიწუნებს?

ეგ ყმა სჯობია სომხების ფულებს.

ანახანუმ (ადგება და სიცილით უამბობს)

გიამბობთ, ქალო, წიგნი მივწერე,

რაც ბარგი ჰქონდა ბიჭს მიუყარე!

(ამ დროს მოდის სვიმონა ბიჭი, ხელში წიგნი უჭირავს და ხაღისა)

ანახანუმ (კივილით და სიხარულით)

აი, ქალებო, ბეგლარის ბარგი:

ოთხიწიგნია, ერთი ფარდაგი!

(ქალები იცინიან, ბიჭი მიდის ბუტბუტით. ამ დროს შემოდის იორამ მღვდელი მოწყენილი სახით, ჩუმად რაღაცას ეტყვის ქალებს და წავა. ქალები დიდხანს შეწუხებულისახით უყურებენ ერთმანეთს.)

ნინო (გაკვირვებითა და გაჯავრებით)

ხედავთ იმასა!.. ისიც გვიწუნებს!

მე ამას ვფიქრობ, რას იმედოვნებს?

ანასტასია (სიცილით)

მეც ნახირ-ნახირ რას ბაძავს სხვასა

ტანი რას უგავს, როდინის ქვასა,

თქვენ არ გინახავთ, რომ ეცვა ფრაკი?
 ამას ბრძანებდით არის პაიკი
 თაგზედ ბალანი არა აქვს ერთი,
 როგორ აძლევდით არა გწამთ ღმერთი?

ნინო

ერთი დაკარგე... ბუთლიკის მსგავსი
 იმისი იანები გიშოვნო ასი!

ანასტასია

აბა ვის მეტყვი ტასოს საწონსა?

ანახანუმ

რით დაიწუნებ ვითომ ფრიდონსა?
 მაიორია, მერე დრაგუნი,
 მითომ რით არის ის დასაწუნი?

სურათი მესუთე

(ბეგლარ ზის მაღლობ ალაგას კაკლის ქვეშ. გაზაფხულის დილაა და
 ოცნებობს)

ბეგლარ

კისდეგ მოხვედი გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო,
 ყოველთა კაცთა სიქადულო, გულთ მომღიმარო!
 უკვე გიპყრიეს სიხარულის ფიალა ხელით
 და მოგვეგები, გამოვალთ რა ზამთრის ბნელით!
 შრომა დასრულდა, განგვიძღა თვალი
 ვხედავ ქვეყანა იქმნა ახალი:
 აგერ მსოფლიო იმოსა მწვანით,
 ტყეთ სიხარულით იმოსეს ტანით;
 ფრინველთა იწყეს თვისებრი სტვენა,
 ყველას უხარის, ვისაც აქვს ენა!
 მაშა მე რისთვის, შორის ამა სიხარულების,
 ბინდი ჭმუნვისა გულს რისთვის მომეფინების?
 იცით, საბრალო გულსა ჩემსა რა ეწუხება?
 ვხედავ სოფელი და ბუნება სულ ჭაბუკდება
 და მე გვირგვინი – ღვთისა ქმნილების –
 ვბერდები, ვკვდები და დღე მაკლდების,
 არ მაქვს უფლება განცხოველების
 მმოსია კაბა ტანთ განხრწნილების
 (იყურება აქეთ-იქით, ოცნებობს)
 ვიშ ამ მშვენიერს კეთილსა ჰაერს!

ნეტარ ვინცა შენ კალმითა დაგწერს!

შეხედეთ ცასა ლაჟვარდოვანსა!

წმინდას, მშვენიერს, ქალწულოვანსა!

უყურეთ წყალსა მოკამკამალსა

მჩქეფრად, მწუხარეს გული მიხარეს

ხუჭუჭთა ტყეთა, ზურმუხტებრ ველთა...

აჰა, ყურს ატკობს ბუღბუღის სტვენა,

თითქო მე მესმის ფრინველთა ენა;

აი კაკალზედ ვხედამ მსხდომს გერიტთა,

როგორ იხარეს ერთად შეყრიტა!

მესმის ტორუა უცხოთ იმღერის,

ამ ნანგრევიდამ ბუ გამობღვერის...

(ოცნებობს)

მოდით მერცხალნო, მომეცით ფრთენი,

მიწით შევიქნე აღმა საფრენი!

აღფრინდე მაღლა და კვალად მაღლა,

რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა;

გავშალო ფრთენი

სანავარდენი,

ენახო რა მზისა

შარავანდენი;

მერე რძის გზასა,

ვარსკვლავთა კვალსა,

შეუდგებოდე

მნათობთა სვლასა!

მთვარესა ვრცელსა,

ღამესა ბნელსა,

განვხრეკდე მასში

საცხოვრებელსა!..

გარნაღა ვაი! მე ღვთისა ქმნილი,

ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული!

ვევირობ რად მომცა, გონება, ნება,

თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება!

ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი,

ასე სიზმარებრივ თუმცა განქრება,

სიცოცხლის სიმი უეცრად ჰსწყდება,

კაცი ამისთვის რად იბადება?

(დაფქრდება)

მაგრამ რა უჭვრეტ მზესა, მთვარესა,

ამ მნათობთ ვარსკვლავთ, ცის სამყარესა, იღუმალ მეტყვის მე სინდისი

სხვა სოფლისათვის არს სამზადისი.

(ამ დროს შემოვა სვიმონა ბიჭი. მიუტანს წიგნსა: გახსნის საჩქაროდ,
კითხულობს, ყვითლდება, გააგდება წიგნებს, მირბის შინა. დადის ზალაში
გაანხლებლი, მერე ხელ-გულ დაკრეფილისიანხლით ანობს)

ბეგლარ

დაუდგრომელო დედაკაცო, ვით შემოდგომა,

შენ სად ისწავლე ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?

ვინ მოგცა სახე ანგელოზის და სული ქაჯის?

იქნებ გგონია ამა სოფელს არავინ დაგსჯის?

კაცის ფერცხალო, მაცდურალო, ბურტყელო ოცნების,

გველებრივ ჭრელო, კაცთ გულ მზერელო, მახინჯ გონების!

(მომატებულის სიანხლით)

ოო! თუ შემეძლოს შემოგბეროთ სამუმის ქარი,

რომე თქვენითა სულ აღვამსო მდინარე მტკვარი,

ან მიგცეთ კბილსა, ლომის ღრძილსა, ყბა დასატეგსა,

რომ ქალთა სახეს დაღეჭავდეს, როგორც რომ კეგსა!

წარვედ მაცდურო, უგუნურო, გაგსრეს ვით გველსა,

გაგიჭყლეტ თავსა, ამოგითხრი თვალსა, კაცთ მომწამეღელსა.

ვიქმნები მათი, ვით ჯალათი მახინჯებისა.

გიწამლავთ გულსა, გიშხამავთ სულსა, შეგქმნით ჭლექებად,

დღესა კეთილსა, არ მოგცემთ ძილსა, გეცეთ მეხებად!

(დაფიქრდება. ღიმილით)

საბრალო შტერო, თავისა მტერო, რას ბოდავ ენით?

რას იქ ამ სოფელს, არ შენ სამყოფელს, გველებრივ კბენით?

ვინ გქმნა უფალი,

დასთრგუნო ქალი,

ღვთისა ქმნილება,

მშვენიერება?

რა გქონდა ერთი, ხალხთან საერთო, მიწას რად ეკარ, უმჯობეს იყავ, მზით
დამწვარიყავ, ვითარცა იკარ.(დაინახავს თავის წიგნს, აიღებს ერთს და მიიკრავს
გულზედ; ამ დროსა კარებიდგან უყურებენ მაკრინე, გამდელი, მოახლეები და
ბიჭები)

ბეგლარ

ჩემო გულისა აღმაშფოთო და ჩემო ბედო,

ჩემო სამოთხევე, ჯოჯოხეთო, ჩემო იმედო!

ეს არის ჩემი სოფელს დიდება,

ლიტონი კაცი როგორ მიხედება,

რომ ჩემი გული

არს დაკუწული

და მისგან შევქმენ ტრფობის ანბანი,

არავის ესმის ამის საგანი!

და თქვენცა ერნო, მომღერალთ მტერნო, სავსენი შურით,

თქვენ არ იყავით დასცინოდით დიდ ბაირონსა?

თქვენ აიძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა!

ტორკვატო ტასო?..

ვერ სცანით ფასი

უწოდეთ შტერი,

ჰქმენით პერობილი,

მის მღერა ტბილი

ვერ მოიგონეთ!

თქვენში არ იყო კამოენსი მოკვდა მშიერი?

თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი?

და ოვიდია რომისაგან რისთვის განაძეთ?..

იქნებ მეც ისე მომიძულეთ, არვის დაგნანდეთ!

(შემოეყრება გულსა. შემოცვივიან მაკრინე და გამდელი, გოგო-ბიჭები ეხვევიან)

მაკრინე

გენაცვა, შვილო, აბა რას შვრები?

ჯადოქრებისთვის რისთვისა კვდები,

ეშმაკს აფურთხე და დაივიწყე!

(ვერ მოაბრუნებენ. ყვირილი, კივილი, ტირილი აირევა. გამდელი უხსნის დიდებსა. ყველას აჩუმებს, უბერავს თვალებში და ულოცავს)

თინათინ

გულო, გულის ალაგასა,

ჩაჯექ ბუდის ალაგასა;

შენ არ გიხდება სტომა,

გმართებს მშვიდად დადგომა!

გულმა დაიწყო ფრენა,

შეშინებულის ქმენა;

ჯვარო პატიოსანო!

ამას მიეცი ღხენა.

გულო გულის ალაგასა ჩაჯექ ბუდის ალაგასა!

მობრძანდი წმინდა ილია,

ღრუბლით არს შემოსილია,

ეტლს მისს მოაქვს შრიალი

გადუგდოს გულსა ფრიალი..

გულო, გულის ალაგასა ჩაჯექ ბუდის ალაგასა!

ნაწილი II

სურათი პირველი

(დარბაზში სხედან მოხუცნი ქალები: ანა, სიდონია, ქეთევან, კეკელა)

ანა (ტუჩებზე თით დადებით)

გენაცვა ქალო, მართლა შეშლილა?

გვიამბე წვრილათ, როგორ ყოფილა;

საოფლეში თუ გაცივებულა.

სიდონია

რა ბრძანებაა, ავადმყოფობა,
 ასე ძნელია დაუდენლობა:
 ამბობენ ვითომ სიყვარულითა,
 ქალს ჰყვარებია საქმრო გულითა.

ქეთევან (დაცინებით)

რა მოგახსენო, საქართველოში
 არ ვინ შეშლილა არშიეობაში,
 შეშლასაც მოდნათ შემოიდებენ,
 როგორც წელ ქვეით ბამბებს იდებენ.

კეკელა

მე არა მწამს რა ამ დროს ქალების,
 ტყუილათ სუსტთა და ფერმკრთალების,
 დედ-მამას აღარ მორჩილდებიან,
 რა ქმარს შეირთვენ, სნეულდებიან.
 ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილ-ქალები,
 ჩვენცა გვქონია კარგი თვალები,
 მაგრამ ჩვენ გულსა არა ვკითხავდით,
 საქმროთ ვინ გვინდა, ვისთვის ვოხრამდით.
 გათხოვებასა მაშინა ვცნობდით,

როცა საყდარში ქმარს წავეყვებოდით.

ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა,

მისთვის ჩვენ მხოლოდ გული გვიცემდა.

ანა

წავიდეთ ვნახოთ მაშ ჩვენი რძალი,

მართლა შეშლით ჰყავს საბრალო ქალი.

სურათი მეორე

შემოვა შეშლილი ზალაში, თეთრი კაბით, თმაგაშლილი, ფერმიხდილი, ხელში უჭირავს ბოხჩა და სარკე; მოზდევენ ყმაწვილი ქალები, ავა ტახტზედ, გაშლის ბოხჩას, დაიდგამს სარკეს.

შეშლილი, მარიამ, და კატატო

შეშლილი

მოდი მაშიკო, დამხურე თავი,

ახალ მოღურად დამიწენ კავი,

თორემ საცაა მომივა მღვდელი.

(კატატოს)

წადი ჩაიცვი, ნეტა რას ელი.

(კატატო გავა. თავს რომ დაიხურავს, ჩაიხედავს სარკეში, წამოხტება, მოიგლეჯს თავსახურავს, თამაშობს მაზურკას და იმღერის მაზურკის ხმას)

მოვა ჩემი საყვარელი,

მე დავხვდები თავ შიშველი,

ლა, ლა, ლა, ლა.

თავშიშველი რომ მნახვიდა

მაშინვე გადამკოცნიდა

ლა, ლა, ლა, ლა.

(ტირილით)

დედამ რათ გამამჭრა ყელი,

რათ წამართვა საყვარელი,

რისთვისა მყო დანიშნული?

(დაფიქრებით)

შევიქმენ შეყვარებული.

აი მაშეკო აღარ მაქვს გული,

შენც გმართებს იყო დაფიქრებული.

(ფიქრის შემდგომ)

ერთხელ მახსოვს მე, იყო საღამო,

აგ! ტკბილი, ტკბილი ჩემთვის საამო;

ერთად ვისხედით, წიგნს ვაკითხებდი,

მე სიხარბითა მას ყურს ვუგდებდი.

ის წიგნი იყო რაღაც ტრფობისა,

ქალთა და ყრმათა მიჯნურობისა.

არ მახსოვს, როგორ დიდხანს იკითხა,

რას დაფიქრდიო, ღიმილით მკითხა.

ამოვიოხრე... მან გამოიცნა

ჩემი ფიქრები... დამიწყო კოცნა.

მის მეტი არა გამიგია რა,

(გულზედ აჩვენებს)

რომე იმ კოცნამ აქ დაიარა,

ასე ტკბილ იყო ის დაკონება,

რომე წამერთო სრულად გონება!

დიდხანს ვიყავი სიტკბოთი მთვრალი,

მერე სატრფომან მაპკურა წყალი;

(იმღერის)

თვალი ავიხილე

და რა ვიხილე?

აღარ მქონდა გული,

იყო მოპარული.

თვისთან შეინახა,

გულში დაიმარხა!

(ღიმილით)

იმას დაუბამს ახლა ბორკილით.

(თითით ანიშნებს)

შენც გამართებს მაშავ იყო სიფრთხილით.

მაშა

კარგი გენაცვა, რა სათქმელია,

გული მანდვე გაქვს, ისევ მთელია;

განა ბორკილით გული დაიბმის?

ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის.

შეშლილი

ამისთვის, რომა არ გკვარებია,

შენ ტკბილი ტუჩი არ გკარებია.

(იმღერის)

მეც მაგას ვჩივი,

რომე ხარ ცივი:

არ გრძნობ არ ცეცხლსა,

გულის შემწველსა!

(ღიმილით)

შენმა გაზდამა, არ ვარ შემცდარი,

შენ ჯერ ხშული გაქვს გრძნობისა კარი;

მოვა დრო, შენცა კარი გელება,

ტრფობისა ცეცხლი გულს აღგეგზნება.

(იმღერის)

გული გიწყებს ბგერასა,

ჩემებრ იწყებს მღერასა!

მაგრამ უფროხილდი ამ გარყვნილ სოფელს,-

არ ავაჭრინო შენც შენსა მშობელს!

არ გყიდონ, ვითა ნივთი,

ანუ ბაზრისა ჩითი.

ვინ ვითხრა ტრფობა არის სირჩხვილი,

ის არს სულელი და ცუდად ზდილი!

შენ არ კითხულობ, ქალო, ბრძნულ წიგნებს

და მისთვის ტრფობა გულით გაშინებს.

მეც აგრე შენებრ ადრე ვგონებდი,

ვინემ გონებით გავნათლდებოდი!

მაგრამ მე ესლა ტრფობით ვამაყობ!

თუ არ მივხვდები თავსა დავიმსობ..

(ახვენებს რომ დაჯდეს)

დამიგდე ყური, მე რას გასწავლი,

ამისთვის რომ ხარ ყმაწვილი ქალი.

ტრფობა არს ქალთა ბედი და წერა!

ეს წმინდა გრძნობა ღმერთმან შთაგებერა,

შეგვქმნა ტურფანი, ლბილნი გვცა გულნი

და მამაკაცთან გვეო გადაბმულნი;

მათ ჯაჭვი ხელთა ჩვენი ცხოვრების

მისცა და ვართ სრულ მათის მონების.

კაცთა აქვს სრულად სოფლის უფლება,

ტახტი, პატივი და განდიდება.

ტრფობა არს ქალთა დანიშნულება,

სხვა ამა სოფელს რა გვეგულება!..

ნეტარ მას, ვინცა ჯაჭვსა თვით ტრფობის

ჰპოვებს და გულით, სულით მიჰყვების!..

იგრძენით მაშინ ქალის ცხოვრება,

თუ საქმრო თვისი არ ეყვარება,

თუ არ იტვირთა სოფლის ყივნება,

საბრალო ქალიუდროთ დატკნება.

ეს არ უწყიან ჩვენთა მშობელთა,

არ ვებრალებით მათ უგრძნობელთა!

რა თითონ კაცსა მოიწონებენ,

ჩვენც გვეყვარება ასე ჰგონებენ.

(ამ დროს შემოფრინდება ჩიტი. შეშლილი უყურებს, ფიქრობს და შემდგომ ფიქრისა)

რისთვის არა ვარ მე ეხლა ჩიტი,

ანუ ტორუა და ანუ გვრიტი;

მაშინ მე მაღლა აეფრინდებოდი,

ჩემ საყვარელსა თავს ვეველებოდი,

ყოველდღე სატრფოს ჩემსა ვუმზერდი,

ტკბილისა ხმითა მაღლა დავმღერდი!

იქნებ ჩემსა ხმას გაიგონებდა,

ადრინდელ ტრფობას მოიგონებდა,
 გულის გრძნობილით შემობრალებდა
 და ისევ ისე შემიყვარებდა!
 მაგრამ იმისი არ არის ბრალი...

(ტირის)

ახ! დედა ჩემო, რისთვის მომკალი!
 მე ვერ ვიხივლებ, იმას ვუყვარდი,
 როგორც ბუღბუღსა მაისის ვარდი.
 (შევა შინ, ქალები შეჰყვებიან)

სურათი მესამე

(შეშლილის დედა ზის ტახტზე მოწყენილის სახით. ამ დროს შემოვლენ ანა,
 სიდონია და ქეთევან)

ანახანუმ (შესტირებს)

ახ! ბატონებ, არ გებრალებით. როგორ გიყურებთ ამ ბნელ თვალებით!
 ჩემი ტასია რომ შემეშალა...
 ვაჰ! მე ოჯახი სულ მომეშალა!..
 თქვენი ჭირიმეთ, მოდით მიშველეთ,
 თუ არ მიშველით, ქვებით ჩამქოლეთ!

ანა

უი! შენს ანას, რა მიზეზია,
ქვეშაგებში წევს თუ ჯერ ზეზეა!

დედა

რა მიზეზია, შეჩვენებულმა
მომიჯადოა გაჯავრებულმა!
ერთი კვირაა არის შეშლილი,
დღევანდლამდისინ არ ჰქონდა ძილი...

ქეთევან

ეგეც არ არის გასაკვირველი,
უსჯულო იყო, არ სწამდა მღვდელი,
ასე ანბობენ, იყო ლოტრანი,
ერთხელ დიდ მარხვას ჰსჭამა ბორანი,
ბოლტერის წიგნი ზეპირ იცოდა
და საყდარშიაც ძვირად ვიდოდა.

სიდონია

ახლა ქალებიც ჰსჭამენ დიდ მარხვას,
არც სჯულს დასდევენ, არც სოფლის ძრახვას

რაც იყო იყო, ჰსჯობს შერიგება,
მაგ ქალს ეშველოს მაგით ეგება.

ღელა

ბევრი უგზავნე მოციქულები,
მოწმათა მყვანან ჩემი მულები,
მაგრამ არ იქნა არმამეკარა,
რა ჩემზედ გული ამოიყარა.

ქეთევან

მოდი მარქიტას შევალოცვინოთ
და მერე გული გავაზომინოთ,
ეგება მაგით მაგ ქალს ეშველოს,
ერთ აბაზს იღებს სულ გასამრჯელოს

ღელა

გენაცვა, ფული რა სათქმელია,
რაც მახადია რა საქნელია;
თუკი მე ქალი მით მამირჩება,
რილასთვის მინდა, რაც მეზადება!

(შემოიყვანენ მარქიტას, შეიყვანენ მეორე ოთახში, სადაც შეშლილს სძინავს)

სიღონია

მოდი მარქიტავ, მინამ სძინავს ქალს,
 ულოცე; მაგ სენს ვაბრალებ ავ თვალს!

მარქიტა

აგება გახლდეთ გიშრისა ჯვარი!
 და აბრეშუმის შავი ზონარი!

(ამოიღებს ჯიბიდან პატარა რქის ჯამსა, აავსებს წყლით; ერთ ხელში უჭირავს
 ბნახშირი და ჭრელ ტარიანი დანა; მიუტანენ გიშრის ჯვარსა, ჩააგდებს ჯამში,
 სამჯერ შეუბერავს წყალს და მერე ულოცავს შემლილს

მარქიტა

„მოვიდა თეთრი მხედარი,
 ხელთ უჯდა ქორი მწყაზარი,
 იჯდა თეთრსა ცხენსა,
 ცაში თავსა აბჯენსა;
 მოჰყვა თეთრი ჯარი,
 ყველგან უღეს კარი, შეესივა შავ ჭაბუკს,
 ვინ უკრევდა წინწილ-ბუკს.
 მოსთხარეს თვალები,
 შეუკრეს მკლავები,

მერე შესვეს ჯორზედა,

აიყვანეს კოჯორზედა,

ქვე მააბეს ყელზედა,

გადააგდეს კლდეზედა!

ღმერთო შენ უშველე ქალსა,

მოარჩინე ავ თვალსა!

(სამჯერ შეუბერავს, ნახშირით და დანით პირჯვარს გადასწერს, მერე ყელზედ
ჯვარს შეაბამს; ამ დროს შემოვა დოქტორი, მარქიტა გაიპარება)

ქეთევან (ექიმს)

ნუ გეწყინება შევალოცვინეთ.

ექიმი

იქნებ წამალიც დააღვეინეთ?

ქეთევან

მაგას უთქვენოთ როგორ გავბედავ?

ექიმი

მაშ შელოცვითა ცუდს არას ვხედავ.

(ამ დროს შეშლილი იღვიძებს, ქალები შევლენ მეორე ოთახში. ექიმი ახლოს დაუჯდება სკამით)

ექიმი (შეშლილს)

როგორი გქონდა ხელმწიფავ ძილი?

შეშლილი

ახ! უცხო, უცხო, დოქტორო, ტკბილი!

(ოცნებობს)

ნეზმანა ძილში ჩემი ბეგლარი,

ადრინდელივით იყო დამტკბარი.

(აღტაცებით)

ვით აპოლონი იყო მშვენიერ,

ვითარცა ძველი ბრძენი გონიერ,

ვითარცა ჩვილი, გულით ღმობიერ,

ვით საყვარელი, სულით გრძნობიერ!

ვით ზეცის ზარი, ხმა მისი ტკბილი

გულსა ხვდებოდა, სულში კვდებოდა

სამოთხებრივი მისი ღიმილი,

ვითა დილის მზე გაბრწყინდებოდა

და ტუჩნი ჩვენნი შეწებებულნი სვამდნენ ზეციურ ღმერთთა სასმელსა!

გულნი დნებოდნენ შეერთებულნი!

ახ! რად არ ვიშთე საყვარლის ყელსა!

ძილი ესრეთი განტკბილებული
 რად არა იქნა განგრძელებული,
 და რაისათვის ახალ ტანჯვისთვის
 კვალად შევიქმენ გაღვიძებული!..

(შემდგომ ფიქრისა)

მერე შეიქმნა უცებ ჭმუნვარი,
 ყველს გადამკიდა გიშრისა ჯვარი, ესე გქონდესოჩემს საგონებლად,
 შენი კაეშნის განსაქარვებლად

(დაიხედავს გულზედ)

ამას რას ვხედავ. აი ის ჯვარი!
 ცხადი ყოფილა და არ სიზმარი,
 დიას, ცხადია, ეხლა ვეკარ ყელს
 ეხლა არ იყო, მაძლევდა მე ხელს,
 მეუბნებოდა ისევ შენი ვარ,
 გინდა ცოცხალი, გინდა მკვდარი ვარ!

რა იმის ფიცით გული ვიჯერე,

მისი სახელი აქ დავიწერე.

(აჩვენებს გულს, იმღერის)

ნახეთ გულის ფიცარი,

თქვენთვის დამამტკიცარი,

მასზედ არს დაწერილი,

სახელი ვისიც არი!

(დაფიქრდება)

მასხოვს აქ ვიჯექ, ამ ზონარს ვქსოვდი,

„მიშველე ბეჭვა” მე იმას ვთხოვდი,

„კარგი, მითხრა მან, თითო ბეჭვაში

შენ მაკოცნინე მაგ ლამაზ თვალში!”

ამ პირობაზედ რა დამიყოლა,

თვის ცხრა კოცნაში მეც ამიყოლა.

(ოსვრით)

ოთხი თვე ვქსოვეთ ჩვენ ეს ზონარი,

რატომ არ ვიქმენ მაშინ მე მკვდარი!

ექიმი

თქვენ ხელმწიფაო, ჭმუნვას იდიდებთ,

თუ ნებას მომცემთ, მე შეგარიგებთ!

თუ მას აქვს სული კეთილშობილი,

იქნება ისიც თქვენზე გრძნობილი.

შეშლილი

არა, დოქტორო: არვის დაჰყვება,

ნებას არ აძლევს პატიოსნება;

თავს არ იმდაბლებს, მე კარგად ვიცი,
 გულში წარმოსთქვა საშინლად ფიცი.
 მისი მაღალი კეთილი გული
 ჩემის სიგიჟით ვყავ დაჩაგრული!
 წიგნი მომწერა და რა ეწერა
 ვერ წავიკითხე მშობლისა შიშით;
 იმან არ იგრძნო თვალთ ცრემლთა ჩქერა,
 მომკლა, დამჩეჩქვა მსხვილისა შეშით
 არ წამიკითხავს ვეფიცებოდი,
 ფეხზე ვკოცნიდი მუხლ მოდრეკილი.
 შემინდე, ცრემლით ვეხვეწებოდი,
 ცემით შევიქმენ ნეკნ ჩადრეკილი!..
 რა ცრემლით დედა ვერ შევიჯერე,
 მერე რაც მითხრა, ყველა ვუჯერე.
 გამაგდებინა მე მოციქული,
 მერე მყო სახლში კარებ დახშული.
 გაჯავრებულმა სატროფომ დაწერა
 ჩემზედ, დოქტორო ესე სიმღერა:
 (იმღერის)
 „მებრალვის, ვწუხვარ, რა ვნახამ ჭაბუკ ქალსა ორგულსა,
 მავალს უგრძნობოდ, უსაგნოდ, სულითა გაქსუებულსა;

მის გული არის მსგავსება დარღვეულისა ტაძრისა,
 ღმერთთაგან განტყვებული მსხვერპლი ქარისა ავდარის,
 კაცი ვერ ბედავს მუნ შესვლას, რათა აღანთოს ღამპარი
 და მისსა საკურთხეველში დაღვაროს ცრემლი მღუღარი”.

(მცირე ფიქრის უკან)

ვეჩერში, იცი, ერთხელ რა ვქენი,
 როცა დაუკრეს ფრანცუზ-კადრელი?
 არ მივეც ხელი როს იყო „შენი“...
 ეგონა ვიქმენ მასზედ გულგრილი.
 შევხედე სახე მას ეცვლებოდა:
 ხან ტვითლდებოდა, ხან წითლდებოდა,
 რა დავასრულეთ, მსწრაფლათ გავიდა
 ვერ მოვითმინე, გული დნებოდა,
 გავედი ვნახე გულ შემოყრილი,
 სატრფო მეგონა რომე კვდებოდა!
 შევქმენ საშინელ ხმითა ყვირილი,
 უცხონი იმას გულს უბრუნებდნენ.
 მე დედა ჩემმა შინ წამათრივა,
 დამიწყო ცემა, თმითა მათრივა!
 მითხრა, დოქტორო, რად დამდაბლდება
 და რადასათვის შემირიგდება?

ჩემში რას ჰპოვებს, რა მიიზიდავს,
 სახლის ყვედრებას რისთვისა ჰზიდავს,
 რას ნახავს ჩემში: მშვენიერებას,
 სიმდიდრეს ანუ გონიერებას?
 ადრეც რა იყო, მე ღმერთმან იცი,
 რისთვის უყვარდი მე ესლაც არ ვიცი

ექიმი

გრწმენოდეთ ჩემ, ესლაც უყვარხართ,
 განგებ უთხარი, რომ თქვენ ავად ხართ,
 შექმნა ტირილი, ფულს მპირდებოდა,
 მომირჩინეო მეხვეწებოდა!
 შეშლილი(საშინელი ხმით დაიკივლებს)
 როგორ, შენ უთხარ, რომ ვარ შეშლილი!
 (დაეცემა გულ-შემოყრილი, ამ ხმაზედ შემოცვივიან ქალები)

ექიმი

არაფერია, არს შებნედილი.

დედა

შენი ჭირიბე, რა მეშველება?

თუკი წამალი რამ გეგულება,
 ნუ დაიშურებ, რითიც მორჩება,
 გულის წუხილი ხომ არ ჰქმდება?
 ექიმი(ფიქრის შემდეგ)
 მაგის წამალი სხვა არსად არი,
 იქნება მორჩეს, თუ შერთოთ ქმარი

ქეთევან

გენაცვა, აგე არის ადგილი!..
 რით არის ცუდი ელენეს შვილი,
 უცხო სახისა, აქვს მერე ჯვარი,
 კაპიტანია, კარგი მსწავლული.
 შენმა მზემ, ხვალვე დავსწეროთ ჯვარი,
 ამოვიყაროთ ლოტრანგის ჯავრი.

სურათი IV

(ზალაში სხედან ქალები და კაცები. ლოტოს თამაშობენ)

ერთი ყმაწვილთაგანი

აბა ქალებო, ინებეთ ლოტო!
 არ ითამაშებ, ქალო კატატო?
 (დაიწყებენ თამაშობას, ერთი ქალი იღებს)

მელანია

სოროკ დვა! დასვი ემანდა, მაშო!

პედესეტ რონა... მოვიგე ანბო.

მეორე ქალი

ვიიშ! გენაცვა, გააჩანჩხარე,

პეტ ამოიღე და გამახარე!

შესტ დესეტ ოსემ! კარგია კმარა,

კინადამ გული შემომეყარა.

(ამ დროს შემოვა ქაქანით ტატო)

ნინო

აი გეახლათ ჩვენი მეჭორე.

აბა რა იცი, გვითხარი სწორე!

ტატო

უცხო ამბავი, უცხო ამბავი:

ტასია მოკვდა, დაგირჩეთ თავი!

ნინო

უი შენს ნინოს! მართლა, ყმაწვილო?

საბრალო დედავ, შენ დაღუპულო!..

ქეთევან

საბრალო ქალი... გვიანზე წვრილად.

კატო

მე არა მჯერა, ამბობს ტყუილად

(გაუშვებენ ლოტოს თამაშობას)

ტატო

გუშინ ჩვენსასა მართა მოვიდა,

ბებია ჩემთან შექნეს ჩურჩული,

მოიჩურჩულეს, მერე წავიდა...

ამაზედ ვიქმენ მე იჭენეული.

ჩემ დასთან შეველ, ვნახე ირთვება

და გოგოს ჩუმათ ეკურკურება.

„აკი ვამბობდი არის ტყუილი,

ტასია ცრუობს, არ არს შეშლილი.

ამაღამ ჩუმათ არის ქორწილი;

იცო ვინ ირთავს? – ელენეს შვილი”.

რა ჩემი დისგან ეს გავიგონე,

იცით, ქალებო რა მოვიგონე?

საღამოს ჩვენებს უკან გავეყვი
 და ძაღუასას ჩუმათ შევეყვი,
 ვნახე, რომ მართლა იყო ქორწილი:
 მორთული იჯდა ტასო შეშლილი!
 საყდარში წასვლას ემზადებოდნენ,
 მხოლოდ კი ჩვენებს მარტო ელოდნენ.
 ამ დროს მოვიდა ტუტუც ანტონი,
 სთქვა მზად გახლავთო ფაიტონი!
 მერე წამოდგა ტასო საჩქაროდ,
 ცრემლი სდიოდნენ როგორც რომ წყაროდ!
 მოვიდა, დედას ხელსა აკოცა
 და დედამ ტასო ცრემლით დალოცა,
 ქალებს ჰკოცნიდა, ესალმებოდა,
 მივხვდი საშინელს რაღასაც გრძნობდა.
 ვნახოთ, ბატონო, ბაღკონს გავარდა,
 შეხტა მოაჯირს, მტკვარში ჩავარდა...
 შეიქნა ერთი ყვირილ-კივილი
 და დარჩა საქმრო პირდაღრენილი!

მელანია

ვიიშ! გენაცვა, შეჩვენებულმა

გული მიბრუნაგადარეულმა.

შე, დაწყევლილო, სად მოიგონე

მაგდენი ჭორი სად გაიგონე!

ტატო

ვა! არა გჯერათ, ღმერთს გეფიცებით,

თითონ მე ვნახე ჩემის თვალებით!

ნინო

რათ გამიხეთქ გენაცვა გული,

მე სამგან მქონდა ანბო დასმული!

ყმაწვილი (გაჯავრებული)

დღეს ითამაშეთ, ნი დაიჯერებთ:

ცრემლი მზადა გაქვთ, ხვალაც იტირებთ.

მელანია

ფეთდესებ ოსემ... თუ მართალია...

მაგრამ დედაზედ სამართალია.

ვოსემ დესებ სემ... ყური არ უგდო,

საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო.

შესტ დესებ დევეტ... მე რა გავიგე...

ნინო

უპაცრავად ვარ, აი მოვიგე

(ფარდა)